განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა

წევრები:

მარიამ დარბაიძე, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ, საქართველო

ვახტანგ ბეროშვილი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

გიორგი მახარობლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

გიორგი მერაბიშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2026

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიას წარმოდგენილი აქვს ავტორიზაციის განაცხადი, ის არ არის ახალი დაწესებულება და მას გააჩნია უმაღლესი განათლების სფეროში საქმიანობის ისტორია. თუმცა, ამჟამად, დაწესებულების მიზანია დაუბრუნდეს საგანმანათლებლო საქმიანობას უმაღლესი განათლების მიმართულებით და უპასუხოს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს.

აკადემია გეგმავს ერთი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას, რომელზეც ყოველწლიურად ჩაირიცხება 200 სტუდენტი (ჯამში არაუმეტეს 600 სტუდენტი, სამი აკადემიური წლის განმავლობაში). ამჟამად, აკადემიას ჰყავს სრულ განაკვეთზე დასაქმებული 6 აკადემიური პერსონალის წევრი (1 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ - პროფესორი). ასევე, სამომავლოდ დაგეგმილია 25 მოწვეული პირის ჩართვა სასწავლო და სხვა აქტივობებში. დაწესებულებას ასევე ჰყავს 29 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას გააჩნია მკაფიო ხედვა, ხოლო მისი ძირითადი სტრატეგიული და სხვა გეგმებით დასტურდება, რომ დაწესებულებას გამიზნული აქვს განავითაროს მისი საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულება, მათ შორის კვლევა, რისთვისაც გათვალისწინებულია ბიუჯეტის 2% (2027 წელი).

დაწესებულების კამპუსი უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისათვის და შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა დროულად მიიღო თვითშეფასების ანგარიში და სხვა დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია მოიცავდა საკმარის ინფორმაციას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს გამოითხოვა დამატებითი მასალები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული როგორც დაწესებულების, ისე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინატორების მიერ. ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 13 - 14 ივლისს. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა და ინფრასტრუქტურის დათვალიერებამ, ექსპერტთა ჯგუფს დასკვნის მომზადების საშუალება მისცა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

2.1. რეკომენდებულია, "ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმაში" განხორციელდეს კრიტიკული პროცესების კლასიფიკაცია და განისაზღვროს აღდგენის დროის მიზანი (RTO), აღდგენის წერტილის მიზანი (RPO), ალტერნატიული რესურსები, საკომუნიკაციო სცენარები და რეგულარული ტესტირების პროცედურები.

5.1 რეკომენდებულია, სტუდენტები წარმოდგენილნი იყვნენ შესაბამის აკადემიურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, რაც გააძლიერებს სტუდენტთა ჩართულობას დაწესებულების მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

რჩევები

1.1 სასურველია, დაწესებულების მისია გაზიარებული იქნას აკადემიის საზოგადოების მიერ, არსებული და ახალი პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის, მიზნობრივი ერთობლივი აქტივობების ორგანიზებით.

1.2. სასურველია, აკადემიამ უზრუნველყოს ახალი პერსონალის ინფორმირება სტრატეგიული გეგმების შესახებ და მხარი დაუჭიროს მათ მიერ თავიანთი როლის გაცნობიერებას, აღნიშნული გეგმების განხორციელების პროცესში.

2.1 სასურველია, დაინერგოს პერსონალის მიერ საერთაშორისო აქტივობებში მიღებული ცოდნის ინსტიტუციური გავრცელების მექანიზმი, როგორიცაა შიდა სემინარი, მეთოდოლოგიური მასალა ან პროგრამის და / ან სილაბუსის გაუმჯობესების ინიციატივა.

2.2 სასურველია, წინასწარ განისაზღვროს საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობასთან დაკავშირებული შერჩევის, ინფორმირების, დაფინანსების, აღიარების და უკუკავშირის გამოყენების გამჭვირვალე პროცედურები.

2.2. სასურველია, შემუშავდეს ერთიანი ელექტრონული რეესტრი, სადაც აღირიცხება გამოვლენილი საკითხი, მისი წყარო, მიღებული გადაწყვეტილება, პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადა, განხორციელების სტატუსი და შედეგი.

2.2. სასურველია, რეგულარულად იქნას განხილული ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ, ხოლო ძირითადი მიგნებები ეცნობოს აკადემიურ საზოგადოებას, მკაფიო და ხელმისაწვდომი ფორმით.

2.2. სასურველია, აკადემიამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება პროგრამების შეფასების, მონაცემთა ანალიზის, სწავლის შედეგების შეფასების და რისკზე დაფუძნებული ხარისხის მართვის მიმართულებებით.

2.3. სასურველია, შემუშავდეს Turnitin - ის გამოყენების ერთიანი სახელმძღვანელო, რომელშიც განისაზღვრება აკადემიური ნაშრომების სახეები, რომლებიც ექვემდებარებიან პლაგიატზე შემოწმებას, შემოწმების პროცესის ეტაპები, განსაზღვრული პასუხისმგებელი

პირები, მსგავსების ანგარიშების განმარტების პრინციპები და გადაწყვეტილების მიღების და გასაჩივრების პროცედურები.

2.3. სასურველია, სტუდენტებისთის და აკადემიური / მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები, საორიენტაციო ღონისძიებები და პერიოდული ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების, ციტირების, აკადემიური წერის, კვლევის ეთიკის და Turnitin - ის ანგარიშების განმარტების საკითხებზე.

2.3.სასურველია, შესაბამის სასწავლო კურსებს დაემატოს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები, ხოლო შეფასების დავალებები შემუშავდეს ავთენტური და პრაქტიკაზე დაფუძნებული ფორმატით.

4.1 სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების რეგულაციებში და/ან შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს, რომ პრაქტიკული და პროფესიული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებს უნდა უძღვებოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები. გარდა ამისა, სასურველია, რომ პედაგოგების შერჩევა მოხდეს მათი პრაქტიკული კომპეტენციების, პროფესიული გამოცდილებისა და შესაბამისი უნარების შეფასების საფუძველზე.

5.2 სასურველია, დაწესებულებამ განაგრძოს საერთაშორისო პარტნიორთა ქსელის გაფართოება და იმუშაოს თანამშრომლობის დამატებით შესაძლებლობებზე, რათა შემდგომში მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, პროფესიული განვითარების აქტივობებსა და საერთაშორისო პროექტებში.

6.1.სასურველია, კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის საფუძველზე, შემუშავდეს დეტალური ყოველწლიური კვლევითი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განისაზღვრება სტრატეგიაში გამოყოფილ პრიორიტეტულ მიმართულებებთან შესაბამისი კონკრეტული კვლევითი თემები და პროექტები, პასუხისმგებელი პირები, კვლევითი ჯგუფები, ბიუჯეტი, განხორციელების ვადები, გაზომვადი შედეგები და გავლენის ინდიკატორები.

6.1 სასურველია, ყოველწლიური კვლევითი პრიორიტეტებისა და კვლევითი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა და ასევე, აღნიშნულის დოკუმენტირება, პერსონალის დარგობრივი კომპეტენციების, კვლევითი ინტერესებისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით.

6.1 სასურველია, სტუდენტებისთვის შემუშავდეს კვლევითი უნარების სტრუქტურირებული მოდული, რომელიც მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას, ეთიკას, მონაცემთა ანალიზს, აკადემიურ წერასა და კვლევის შედეგების წარდგენას.

6.1 სასურველია, კვლევითი პროექტების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს ინტერდისციპლინური მიდგომა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხების სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური და მენეჯერული მიმართულებები.

6.2 სასურველია, შემუშავდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ცალკე სამოქმედო გეგმა, რომელშიც განისაზღვრება პრიორიტეტული საერთაშორისო პარტნიორები, ერთობლივი კვლევითი პროექტები, საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა,

საერთაშორისო თანაავტორობით შექმნილი პუბლიკაციები, პასუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები და შედეგების ინდიკატორები.

6.2 სასურველია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის შეიქმნას კვლევით შესაძლებლობებთან დაკავშირებული რეგულარული საინფორმაციო ბიულეტენი ან ელექტრონული საკომუნიკაციო არხი, რომელიც გააერთიანებს ინფორმაციას შიდა და გარე გრანტების, კონფერენციების, პუბლიკაციების შესაძლებლობების, ტრენინგებისა და საერთაშორისო პროექტების შესახებ.

6.2 სასურველია, კარიერის საწყის ეტაპზე მყოფი აკადემიური პერსონალისა და ნაკლები კვლევითი გამოცდილების მქონე პირებისთვის შემუშავდეს მცირე გრანტების, მენტორობისა და კვლევითი უნარების განვითარების პროგრამები.

6.2 სასურველია, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით შეიქმნას თემატური კვლევითი ჯგუფები, რომლებიც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საპოლიციო საქმიანობის აქტუალურ საკითხებზე იმუშავებენ.

6.2 სასურველია, შემუშავდეს შიდა კვლევითი კონკურსების ფარგლებში გამოვლენილი საუკეთესო კვლევითი შედეგების გავრცელებისა და პრაქტიკაში გამოყენების გეგმა.

6.3 სასურველია, კვლევითი საქმიანობისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების კრიტერიუმები დივერსიფიცირდეს თვისებრივი, რაოდენობრივი, საერთაშორისო და პრაქტიკული გავლენის ინდიკატორების დამატებით.

6.3 სასურველია, კვლევითი საქმიანობის შეფასების სრული ყოველწლიური ციკლის განხორციელება და დოკუმენტირება, რომელშიც მოცული იქნება მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, ინდივიდუალური და ინსტიტუციური უკუკავშირი, გაუმჯობესების გეგმის შემუშავება, პასუხისმგებელი პირებისა და განხორციელების ვადების განსაზღვრა, ასევე, ეფექტურობის შემდგომი შეფასება.

6.3 სასურველია, შეიქმნას კვლევითი საქმიანობის ელექტრონული მონაცემთა ბაზა და/ან ინდივიდუალური კვლევითი პროფილები, რომლებშიც აღირიცხება პუბლიკაციები, პროექტები, კონფერენციებში მონაწილეობა, გრანტები და კვლევის პრაქტიკული გავლენა.

6.3 სასურველია, საერთაშორისო თანაავტორობა, რეცენზირებად და ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა და კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვა განისაზღვროს შეფასების ცალკეულ ინდიკატორებად.

საუკეთესო პრაქტიკები

არ არის მითითებული

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშ	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	**უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐

5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	**კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. მილან პოლი (თავმჯდომარე)

2. მარიამ დარბაიძე (წევრი)

3. ვახტანგ ბეროშვილი (წევრი)

4. გიორგი მახარობლიშვილი (წევრი)

5. გიორგი მერაბიშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და / ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების მისია შეესაბამება საქართველოს და ევროპის უმაღლესი განათლების მიზნებს. ის განსაზღვრავს დაწესებულების სპეციფიკურ როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცეში და ქართულ საზოგადოებაში. აკადემიის მისიაა: "უზრუნველყოს უმაღლესი განათლება, კვლევა და სპეციალიზებული პროფესიული პროგრამები ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. აკადემია ამზადებს პროფესიონალებს ქვეყნისთვის და სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემისთვის, რომლებიც გამორჩეული იქნებიან მაღალი ეთიკური სტანდარტებით, ლიდერული თვისებებით და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობით, რაც მიიღწევა სწავლების და კვლევის პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიების, ინოვაციური ტექნოლოგიების და პრაქტიკულ გამოცდილებაზე ორიენტირებული მიდგომების ინტეგრირებით. აკადემია უსაფრთხოების ეროვნულ და გლობალურ გამოწვევებზე რეაგირებს ცოდნის შექმნით, განვითარებით და გავრცელები და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებაში და განმტკიცებაში." დაწესებულების მისია ასევე ითვალისწინებს დაწესებულების განვითარებას სტანდარტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დამახასიათებელი

სამი საყრდენის - სწავლება / სწავლის, კვლევის და საზოგადოებასთან ურთიერთობის (მესამე მისია) საფუძველზე.

ინტერვიუების პროცესში გარკვეულწილად დადასტურდა, რომ მისია გაზიარებულია დაწესებულების საზოგადოების მიერ.

მისია დაკავშირებულია დაწესებულების ხედვასთან, რომელშიც ხაზგასმულია, რომ აკადემიის მისწრაფებაა "გახდეს რეგიონში წამყვანი საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულება უსაფრთხოების სფეროში, რომელიც გამორჩეული იქნება აკადემიური ბრწყინვალებით, ინოვაციური სასწავლო მოდელებით, პროფესიული ეთიკის მაღალი სტანდარტებით და ეროვნული ინტერესების დაცვის ვალდებულებით. აკადემია მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს ინტელექტუალური ცენტრი, სადაც გაერთიანებული იქნება განათლება, კვლევა და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ზრდის მომავალ ლიდერებს და უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისტემის მდგრად განვითარებას გლობალური გამოწვევების ფონზე."

ასევე, მისია დაკავშირებულია დაწესებულების ღირებულებებთან, რომელიც მოიცავს სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობას, სწავლება - სწავლის მაღალ ხარისხს, პროფესიულ ეთიკას, კანონის უზენაესობას, ლიდერობას, სტრატეგიულ აზროვნებას, ინოვაციას და პარტნიორობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების მისია;
- დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, დაწესებულების მისია გაზიარებული იქნას აკადემიის საზოგადოების მიერ, არსებული და ახალი პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის, მიზნობრივი ერთობლივი აქტივობების ორგანიზებით.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ - ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ - ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები შემუშავებულია მომდევნო შვიდი და სამი წლისთის და ორივე მოქმედებს 2026 წლიდან. სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026-2032) მოიცავს შვიდ სტრატეგიულ მიზანს, კერძოდ: (1) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას; (2) სასწავლო ადმინისტრაციის განვითარებას; (3) სასწავლო პროცესის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას, შეფასებას და კვლევის კომპონენტების დანერგვას; (4) ადამიანური რესურსების მართვის განვითარებას; (5) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას; (6) ინფრასტრუქტურის და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განვითარებს და (7) აკადემიის ცნობადობის ამაღლებას. თითოეული მიზანი ლაკონურად არის განმარტებული, დასაბუთებულია, რეალისტურია და ითვალისწინებს დაწესებულების შემდგომი განვითარების საჭიროებებს. გარდა ამისა, მიზნები ეფუძნება დაწესებულების მისიას და პრიორიტეტებს.

სამოქმედო გეგმაში (2026 - 2029) სტრატეგიული მიზნები დაყოფილია დეტალურ ამოცანებად და აქტივობებად, განსაზღვრულია განხორციელების ვადები მომდევნო სამი წლის განმავლობაში, შესრულების ინდიკატორები / კრიტერიუმები, პასუხისმგებელი პირები (პირები, სტრუქტურული ერთეულები), მათი პასუხისმგებლობის სფეროები და უზრუნველყოფილია ინფორმაციის მიწოდება დაგეგმილი აქტივობებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესახებ. ამგვარად, სამოქმედო გეგმა მკაფიოდ მოიცავს სამომავლოდ დაგეგმილ ეტაპებს და წარმოადგენს დაწესებულების განვითარების სახელმძღვანელოს.

შესაბამისად, სტრატეგიული მიზნები მიღწევადია, დროში განსაზღვრულია და გაზომვადია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებებისას მიღებული ინფორმაციის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა ძირითადად განხორციელდა დაწესებულების მმართველი ორგანოების ფარგლებში, აკადემიურ და არააკადემიურ პერსონალზე ნაწილობრივი

წვდომით. დაწესებულების სპეციფიკური პროფილის გათვალისწინებით, აღნიშნულ შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს როლიც.

სტრატეგიული მიზნები მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ძირითად ასპექტებს დასაერთო ჯამში ქმნის გარკვეულ კომპლექსურობას.

სტრატეგიული, ისევე როგორც სამოქმედო გეგმები, მოიცავს აქტივობებს, რომლებიც შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც პოტენციური წვლილი საზოგადოების განვითარებაში და ცოდნის გავრცელებაში. ისინი მოიცავენ სოციალურ და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ფართო საზოგადოებისკენ, აღნიშნულ გარემოში საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის როლის მნიშვნელობის წარმოსაჩენად.

აღნიშნული დოკუმენტები ასევე მოიცავენ ინფორმაციას აქტივობების განხორციელების დაგეგმილი მონიტორინგის და მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებული შესაძლო საპასუხო ღონისძიებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026-2032);
- სამოქმედო გეგმა (2026 - 2029);
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, აკადემიამ უზრუნველყოს ახალი პერსონალის ინფორმირება სტრატეგიული გეგმების შესახებ და მხარი დაუჭიროს მათ მიერ თავიანთი როლის გაცნობიერებას აღნიშნული გეგმების განხორციელების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ - ის ხელმძღვანელობა / მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ - ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ - ის ხელმძღვანელობა უსდ - ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის წესდება განსაზღვრავს დაწესებულების სამართლებრივ სტატუსს, მისიას, მიზნებს და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მმართველ ორგანოებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, დაფინანსების პრინციპებს და უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობების განაწილებას. წესდების თანახმად, დაწესებულება ერთდროულად ფუნქციონირებს როგორც საპოლიციო განათლების უმაღლესი საგანმანათლებლო, სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო და საარქივო დაწესებულება. აღნიშნული მიმართულებები ასახულია ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რომელიც მოიცავს რექტორს, ვიცე - რექტორებს, აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს, პოლიციის სკოლას, ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის სამსახურს, განვითარების, კვლევის, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ასევე ადმინისტრაციულ და დამხმარე ერთეულებს. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს 129 საშტატო პოზიციას და ასახავს ფუნქციების სპეციალიზებულ განაწილებას. ცალკეული ერთეულები პასუხისმგებელნი არიან სამართლებრივ მხარდაჭერაზე, ადამიანური რესურსების მართვაზე, ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, ეკონომიკურ და ლოგისტიკურ მხარდაჭერაზე, ფინანსურ დაგეგმვაზე და აღრიცხვაზე, შესყიდვებზე, საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებაზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე, კვლევაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე. ამგვარი ფუნქციური განაწილება ქმნის ანგარიშვალდებულების, პროფესიული სპეციალიზაციის და ინსტიტუციური პროცესების კოორდინირებული მართვის ფორმალურ საფუძველს. სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და მათი ურთიერთკავშირის ჩარჩო დეტალურად არის აღწერილი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის წესდებაში. "აკადემიური პერსონალის დაქირავების და კონკურსის ჩატარების წესი" ადგენს

აკადემიური პოზიციების დაკომპლექტების პროცედურებს ღია კონკურსის მეშვეობით, წინასწარ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეფასებას საკონკურსო კომისიის მიერ, შედეგების გამოქვეყნებას და გასაჩივრების წესს. დოკუმენტი უზრუნველყოფს თანასწორობის, გამჭვირვალობის და სამართლიანი კონკურენციის ფორმალურ გარანტიებს. პრაქტიკული განხორციელების პროცესშისასურველია, პერიოდულად განხორციელდეს კონკურსის შედეგების ანალიზი და შერჩევის პროცესის ეფექტიანობის შეფასება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ელექტრონული საქმისწარმოების ინსტრუქცია განსაზღვრავს დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის, დავალებების შესრულების კონტროლის, რეგისტრაციის, მოძრაობის, შენახვის და დაარქივების ერთიან წესს. აღნიშნული მექანიზმი დადებითად არის შეფასებული, ვინაიდან უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების ფორმალიზებას, ინფორმაციის გავრცელების და გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგს.

"მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა" ეფუძნება ISO 21001 მიდგომებს, PDCA ციკლს და KPI - ზე (ძირითადი შესრულების ინდიკატორები) დაფუძნებულ შეფასებას. დოკუმენტი განსაზღვრავს მართვის ეფექტიანობის შეფასების კომისიას, მონიტორინგის სფეროებს და შედეგების გამოყენების პრინციპებს. აღნიშნული ქმნის შედეგებზე ორიენტირებული მართვის მყარ საფუძველს. თუმცა, სრული შესაბამისობისათვის საჭირო იქნება რეგულარული მონიტორინგის ანგარიშების, გაზომვადი შედეგების, გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირების გეგმების და შემდგომი შეფასების უზრუნველყოფა.

"ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა" მოიცავს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის, სტუდენტების და პერსონალის და ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების დაცვის პრინციპებს. გეგმის არსებობა დადებითად არის შეფასებული, თუმცა მისი განხორციელების ეფექტურობა მოითხოვს კრიტიკული პროცესებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, აღდგენის დროის მიზნების, მონაცემთა აღდგენის პარამეტრების, ალტერნატიული ინფრასტრუქტურის, პერსონალის ჩანაცვლების მექანიზმების, სცენარზე დაფუძნებული ტესტირების და ტესტირების შედეგების დოკუმენტირების უზრუნველყოფას.

"სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია" ადგენს სტუდენტთა ოპტიმალური მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის პრინციპებს და ითვალისწინებს რესურსებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ აკადემიას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ოპტიმალური მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის პრინციპები, კრიტერიუმები და შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლები.

დოკუმენტის თანახმად, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა ეფუძნება ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომას, საკმარის ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, პროგნოზირებადობას, გამჭვირვალობას, შრომის ბაზრის მოთხოვნას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროებებს და რისკების პრევენციას.

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემია გეგმავს ყოველწლიურად 200 სტუდენტის მიღებას, რის შედეგადაც სამწლიანი პერიოდის განმავლობაში სტუდენტთა საერთო რაოდენობა ეტაპობრივად მიაღწევს 600 - ს. აღნიშნული რაოდენობა

განსაზღვრულია დაწესებულების მიერ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის მიღების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მეთოდოლოგიის თანახმად, დაწესებულებას 600 სტუდენტისთვის გააჩნია:

- 25 სასწავლო აუდიტორია, თითოეულში 25 სტუდენტის განთავსების შესაძლებლობით, რაც ჯამში შეადგენს 625 ადგილს;
- 6 ღია პრაქტიკული სივრცე / ლაბორატორია, ჯამში 125 ადგილი;
- 6 დახურული პრაქტიკული სივრცე / ლაბორატორია, ჯამში 125 ადგილი;
- ბიბლიოთეკა / სამკითხველო დარბაზი - 40 ადგილი.

წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით, ერთცვლიანი მოდელის პირობებში, ხელმისაწვდომი სივრცეების ჯამური პოტენციური ტევადობაა 915 ადგილი, რაც აღემატება 600 სტუდენტისთვის საჭირო რესურსს და უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის ტევადობის რეზერვს.

ადამიანური რესურსების თანაფარდობები შემდეგია:

- 6 აფილირებული აკადემიური პერსონალი - თანაფარდობა 1:100;
- 11 მოწვეული პერსონალი - თანაფარდობა 1:55;
- ჯამში 17 აფილირებული და მოწვეული პერსონალი - თანაფარდობა 1:35;
- 74 ადმინისტრაციული პერსონალი - თანაფარდობა 1:8;
- 31 დამხმარე პერსონალის - თანაფარდობა 1:19;
- ჯამში 105 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - თანაფარდობა 1:6;
- ჯამში 122 პერსონალის წევრი - თანაფარდობა 1:5.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა დაკავშირებულია ადამიანურ, მატერიალურ, ტექნიკურ და საბიბლიოთეკო რესურსებითან, ასევე პრაქტიკული სწავლების ფორმატთან და დაწესებულების სპეციფიკურ საჭიროებებთან. ასევე უნდა აღინიშნოს, ეტაპობრივი წლიური მიღების მოდელი, რაც დაწესებულებას მისცემს საშუალებას, სტუდენტების რაოდენობის ზრდის თითოეულ ეტაპზე შეაფასოს რესურსების ადეკვატურობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები.

"პოლიციის აკადემიის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით და მექანიზმებით" განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაცია. დოკუმენტი ინტერნაციონალიზაციას აკავშირებს სწავლება - სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასთან, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობასთან, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლასთან, პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან, სტუდენტების საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობასთან და ერთობლივ კვლევასთან.

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემია თანამშრომლობს AEPC - სთან, CEPOL - თან, FRONTEX - თან, OSCE - ს შესაბამის ქსელებთან და უცხოეთის მრავალ საპოლიციო საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. აღნიშნული პარტნიორული ქსელი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტიტუციურ რესურსს, თუმცა პარტნიორობის ეფექტიანობა უნდა შეფასდეს განხორციელებული აქტივობების, ერთობლივი პროექტების,

საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ცვლილებების, მონაწილეების რაოდენობის და მიღებული ცოდნის გავრცელების საფუძველზე. ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების ფარგლებში დადასტურდა, რომ აკადემიის ხელმძღვანელობა ინფორმირებულია პასუხისმგებლობების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების ახალი სტატუსიდან და გეგმავს მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის და კვლევის სისტემების ეტაპობრივ განვითარებას. ამავდროულად, გასაუბრებებების შედეგად გამოავლინდა, რომ მექანიზმების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ დაგეგმვის ან ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად სამომავლოდ მათი მდგრადობა უნდა დადასტურდეს რეგულარული ანგარიშებით და კონკრეტული შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში; ● საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ მოქმედი სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის წესდება; ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი; ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და უფლებამოსილებების ამსახველი დოკუმენტები; ● აკადემიური პერსონალის დაქირავების და კონკურსის ჩატარების წესები; ● ელექტრონული საქმისწარმოების ინსტრუქცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში; ● მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ● ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა; ● სტუდენტთა კონტიგენტის და მიღების დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია; ● პოლიციის აკადემიის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები; ● საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმებების და მემორანდუმების ჩამონათვალი; ● დაწესებულების მმართველი ორგანოების და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ამსახველი ბრძანებები, სხდომის ოქმები და ანგარიშები; ● აკადემიური პერსონალის კონკურსის გამოცხადების, შეფასების, შედეგების გამოქვეყნების და გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ● ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში რექტორთან, ვიცე - რექტორებთან, მმართველი ორგანოების წარმომადგენლებთან, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგები; ● ავტორიზაციის ვიზიტის დროს წარმოდგენილი დამატებითი განმარტებები.
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, "ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმაში" განხორციელდეს კრიტიკული პროცესების კლასიფიკაცია და განისაზღვროს აღდგენის დროის მიზანი

(RTO), აღდგენის წერტილის მიზანი (RPO), ალტერნატიული რესურსები, საკომუნიკაციო სცენარები და რეგულარული ტესტირების პროცედურები.

რჩევები:

- სასურველია, დაინერგოს პერსონალის მიერ საერთაშორისო აქტივობებში მიღებული ცოდნის ინსტიტუციური გავრცელების მექანიზმი, როგორიცაა შიდა სემინარი, მეთოდოლოგიური მასალა ან პროგრამის და / ან სილაბუსის გაუმჯობესების ინიციატივა.
- სასურველია, წინასწარ განისაზღვროს საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობასთან დაკავშირებული შერჩევის, ინფორმირების, დაფინანსების, აღიარების და უკუკავშირის გამოყენების გამჭვირვალე პროცედურები.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ - ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტურობის შეფასება", რომელიც ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ დაწესებულების სისტემურ და განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს (PDCA - დაგეგმე, განხორციელე, შეაფასე და იმოქმედე) და მოიცავს დაწესებულების საგანმანათლებლო, კვლევით, ადმინისტრაციულ, საკადრო, მატერიალურ - ტექნიკურ და ინფორმაციასთან დაკავშირებულ პროცესებს. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს აღნიშნულ გარემოებას, ვინაიდან აკადემია ხარისხის უზრუნველყოფას აღიქვავს არა როგორც

მხოლოდ ფორმალურ მაკონტროლებელ მექანიზმს, არამედ როგორც მმართველობის და ინსტიტუციური განვითარების განუყოფელ ნაწილს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს, სწავლის შედეგების შეფასებას, სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვას, პერსონალის საქმიანობის შეფასებას, კვლევითი საქმიანობის მონიტორინგს, რესურსების შეფასებას და მიღებული შედეგების საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. ასევე, დადებითად ფასდება ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის ფუნქციის ინსტიტუციური განმარტება, ისევე როგორც მისი კავშირი დაწესებულების მართვის ეფექტურობის შეფასების სისტემასთან. დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა მზაობა, დაინერგოს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა და უზრუნველყოფილ იქნას ხარისხის კულტურის ეტაპობრივი განვითარება. ორგანიზაციის მმართველობით სტრუქტურაში ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის სამსახურის ინსტიტუციური მდებარეობა ხაზს უსვამს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობას. შესაბამისი დოკუმენტებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი, სწავლის შედეგების შეფასება, გამოკითხვები, პერსონალის შეფასება, შიდა ანგარიშგება და ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესების კოორდინაცია. დადებითად ფასდება ხარისხის უზრუნველყოფის კავშირი მართვის ეფექტურობის და კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმებთან. სრულად ფუნქციონირებადი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოითხოვს მტკიცებულებების უწყვეტ ჯაჭვს: შეფასების ინსტრუმენტი - მონაცემთა შეგროვება - ანალიზი - გადაწყვეტილება - პასუხისმგებელი პირი - განხორციელების ვადა - განხორციელებული ცვლილება - ეფექტურობის შემდგომი შეფასება. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის ახალი ინსტიტუციური სტატუსის გათვალისწინებით, მოცემულ ეტაპზე დასრულებული ციკლების რაოდენობა შეზღუდულია. შესაბამისად, აკადემიაში დანერგილია ფორმალური მექანიზმები, თუმცა მათი ეფექტურობა უნდა დადასტურდეს პრაქტიკული განხორციელებით და დოკუმენტირებული შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში; ● ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტურობის შეფასების აღწერა; ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის წესდება; ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა; ● დოკუმენტები, რომლებშიც აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის სამსახურის ფუნქციები და უფლებამოსილებები; ● მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა; ● სტუდენტთა კონტიგენტის და მიღების დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია; ● საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტები;

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, შეფასების ფორმები და შესაბამისი ანგარიშები;
- სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარები, გამოკითხვის შედეგები და ანალიზის ფორმები;
- კადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები;
- პერსონალის კვლევითი საქმიანობის და სამეცნიერო პროდუქტიულობის ხარისხის შეფასების სისტემა;
- ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი დამატებითი განმარტებები და შესაბამისი მხარდამჭერი მასალები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, შემუშავდეს ერთიანი ელექტრონული რეესტრი, სადაც აღირიცხება გამოვლენილი საკითხი, მისი წყარო, მიღებული გადაწყვეტილება, პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადა, განხორციელების სტატუსი და შედეგი.
- სასურველია, რეგულარულად იქნას განხილული ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ, ხოლო ძირითადი მიგნებები ეცნობოს აკადემიურ საზოგადოებას, მკაფიო და ხელმისაწვდომი ფორმით.
- სასურველია, აკადემიამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება პროგრამების შეფასების, მონაცემთა ანალიზის, სწავლის შედეგების შეფასების და რისკზე დაფუძნებული ხარისხის მართვის მიმართულებებით.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ - ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ - ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიამ წარმოადგინა ეთიკური პრინციპების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მარეგულირებელ დოკუმენტების პაკეტი, მათ შორის:

- საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების დისციპლინური წესდება;
- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი;
- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის შინაგანაწესი.

წარმოდგენილი დოკუმენტები ქმნიან კანონიერების, პატიოსნების, სამართლიანობის, პასუხისმგებლობის, მიუკერძოებლობის, ურთიერთპატივისცემის, პროფესიული დისციპლინის და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის ინსტიტუციურ ჩარჩოს.

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის პროფილის გათვალისწინებით, პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების ინტეგრირებულ განვითარებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების მომავალი პროფესიული საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კანონის დაცვასთან, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, ადამიანის უფლებების პატივისცემასთან, მიუკერძოებლობის შენარჩუნებასთან და პროფესიული პასუხისმგებლობის მაღალი დონის გამოვლენასთან.

"აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი" განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების ძირითად პრინციპებს, აკადემიური გადაცდომების ფორმებს, აკრძალულ პრაქტიკებს და ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. დოკუმენტის თანახმად აკადემიური კეთილსინდისიერება მიჩნეულია, როგორც ხარისხიანი განათლების, სამართლიანი შეფასების და საიმედო კვლევითი საქმიანობის ფუნდამენტური საფუძველი.

პლაგიატის აღმოჩენის და პრევენციის მექანიზმების პრაქტიკული განხორციელების უზრუნველსაყოფად, სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიასთან, რომელიც იყენებს პლაგიატის აღმოჩენის პროგრამას Turnitin - ს.

აღნიშნული თანამშრომლობა ქმნის შესაბამისი ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტების და პერსონალის წერითი და კვლევითი ნამუშევრების შემოწმების შესაძლებლობას. Turnitin - ზე წვდომა წარმოადგენს პლაგიატის აღმოჩენის, აკადემიური წერის უნარების განვითარების, ციტირების მოთხოვნებთან შესაბამისობის და ობიექტური შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

ამავდროულად, პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ განსაზღვროს აკადემიური ნაშრომების შემოწმების ეტაპები, დანიშნოს პასუხისმგებელი პირები, დაადგინოს მსგავსების ინტერპრეტაციის პრინციპები და შეიმუშაოს გამოვლენილ შედეგებზე რეაგირების პროცედურები. მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი ავტომატურად არ უნდა უთანაბრდებოდეს პლაგიატს. თითოეული ანგარიში უნდა შეფასდეს ციტირების სიზუსტის, დამთხვევების ხასიათის, გამოყენებული წყაროების და კონკრეტული აკადემიური ნაშრომის თავისებურებების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები, Turnitin - ზე წვდომა და შესაბამისი ინსტიტუციური თანამშრომლობა ქმნის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მნიშვნელოვან საფუძველს. მათი პრაქტიკული განხორციელების შემდგომ, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების და პერსონალის სათანადო ინფორმირება, პროგრამული უზრუნველყოფის თანმიმდევრული გამოყენება და გამოვლენილი შემთხვევების სამართლიანი და გამჭვირვალე განხილვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების დისციპლინური წესდება;
- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი;
- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის შინაგანაწესი;
- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიასა და სსიპ - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიას შორის Turnitin - ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- Turnitin - ის პროგრამაზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სისტემის პრაქტიკული დანერგვის შემდგომ სტუდენტებისა და პერსონალის წერითი და კვლევითი ნამუშევრების Turnitin - ის მეშვეობით შემოწმების დამადასტურებელი მასალები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები:

- 2.3. სასურველია, შემუშავდეს Turnitin - ის გამოყენების ერთიანი სახელმძღვანელო, რომელშიც განისაზღვრება აკადემიური ნაშრომების სახეები, რომლებიც ექვემდებარებიან პლაგიატზე შემოწმებას, შემოწმების პროცესის ეტაპები, განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, მსგავსების ანგარიშების განმარტების პრინციპები და გადაწყვეტილების მიღების და გასაჩივრების პროცედურები.
- 2.3. სასურველია, სტუდენტებისთის და აკადემიური / მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები, საორიენტაციო ღონისძიებები და პერიოდული

ტრენინგები აკადემიური კეთილსინდისიერების, ციტირების, აკადემიური წერის, კვლევის ეთიკის და Turnitin - ის ანგარიშების განმარტების საკითხებზე. ● 2.3. სასურველია, შესაბამის სასწავლო კურსებს დაემატოს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები, ხოლო შეფასების დავალებები შემუშავდეს ავთენტური და პრაქტიკაზე დაფუძნებული ფორმატით.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ● არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ - ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პოლიციის აკადემიის საზოგადოებრივი უსაფრთხოების და საპოლიციო საქმიანობის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შემუშავების და სტრუქტურირების პროცესში მონაწილეობდა ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, რამაც ხელი შეუწყო განათლების და შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას. ავტრიზაციის ვიზიტის და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ უსდ - მ ჩაატარა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი. გარდა ამისა, უსდ - მ განიხილა დარგის შესაბამისი ძირითადი პროფესიული პრაქტიკები და ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობები.

იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად მიმდინარეობს უსდ - ს დაფუძნების პროცესი, დასტურდება პროგრამის სამომავლო განვითარების და გაუმჯობესების მზაობა, რაც უმნიშვნელოვანესია დინამიურ გარემოში ფუნქციონირებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში; ● ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტურობის შეფასების აღწერა; ● საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტები; ● სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, შეფასების ფორმები და შესაბამისი ანგარიშები; ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ● არ არის მითითებული
რჩევები: ● არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ● არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS).

აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს რეგულირებად პროგრამას, რაც გულისხმობს, რომ ის შეესაბამება სფეროს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. პროგრამას გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის შედეგები, რომლებიც ეფუძნება საჯარო უსაფრთხოების დარგობრივ მახასიათებელს. შესაბამისად, სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, მათ შორის სპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, ასევე თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებს. სავალდებულო კომპონენტი შეადგენს 108 კრედიტს, რასაც ემატება პროფესიული პრაქტიკის 30 კრედიტი და არჩევითი კურსების 24 კრედიტი. თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი მოიცავს 18 კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო კურსების ლოგიკურობას და თანმიმდევრულობას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს არჩევით კომპონენტს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ არჩევითი კურსები ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა იმ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობდა უსდ - ის დაფუძნების პროცესი. შესაბამისად, ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, დაგეგმილია შესაბამისი აუდიტორიისათვის აქტიური საინფორმაციო და სარეკლამო კამპანიის განხორციელება. აღნიშნული ვალდებულება ასევე დადასტურდა გასაუბრებების ფარგლებშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების და პოლიციის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები:

- არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

მექანიზმი ნათლად განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების კრიტერიუმებს. მომავალში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების სრულყოფილად ინფორმირებას შეფასების სისტემისა და პროცედურების შესახებ.

სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სამართლიანობას, თანაბარ მოპყრობასა და გამჭვირვალობას, რითაც ხელს უწყობს შეფასების ობიექტურ და თანასწორ პროცესს.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს შეფასების შედეგების გასაჩივრების სისტემა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ამოქმედდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტურობის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;

• გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: • არ არის მითითებული
რჩევები: • არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ აკადემიას განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს და ხელს უწყობს დაგეგმილი საგანმანათლებლო და სხვა ინსტიტუციური საქმიანობის განხორციელებას. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავენ ადამიანური რესურსების დაგეგმვის, კვალიფიციური

პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის, პროფესიული განვითარების, პერსონალის საქმიანობის შეფასების, მოტივაციისა და პერსონალის შენარჩუნების საკითხებს.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, აკადემიური პერსონალის შერჩევისა და შეფასების მარეგულირებელი წესების, სამუშაოს აღწერილობებისა და სხვა შიდა რეგულაციების ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. მასში ასევე გათვალისწინებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასება, შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებების განხორციელება და პერსონალის შეფასების მექანიზმების შემდგომი გაუმჯობესება.

წარმოდგენილი მიდგომა სათანადო საფუძველს ქმნის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მართვისა და კვალიფიციური ადამიანური რესურსის ხელმისაწვდომობისათვის. ვინაიდან აკადემია იწყებს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, პერსონალის მართვის მექანიზმების ეფექტურობა და თანმიმდევრული გამოყენება, ასევე, ადამიანური რესურსების მდგრადობა, შეფასდება საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული განხორციელების პროცესში.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, აკადემიის რეგულაციებსა და/ან სხვა შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს, რომ პრაქტიკული და პროფესიული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებს უნდა უძღვებოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები. ასევე მიზანშეწონილია, ასეთი პერსონალის შერჩევა ეფუძნებოდეს მათი პრაქტიკული კომპეტენციების, პროფესიული გამოცდილებისა და შესაბამისი უნარების შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დაგემგვის მეთოდოლოგია
- ადგილზე ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების რეგულაციებში და/ან შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს, რომ პრაქტიკული და პროფესიული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებს უნდა

უძღვებოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები. გარდა ამისა, სასურველია, რომ პედაგოგების შერჩევა მოხდეს მათი პრაქტიკული კომპეტენციების, პროფესიული გამოცდილებისა და შესაბამისი უნარების შეფასების საფუძველზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ აკადემიას განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსების დაგეგმვისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ძირითადი მიდგომები. აღნიშნული მიდგომები უკავშირდება დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, პერსონალის არსებული და სამომავლო საჭიროებების შეფასებასა და დაწესებულების სტრატეგიულ განვითარებას.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სასწავლო ცხრილებისა და პერსონალის დატვირთვის სისტემატიზებას, პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასებასა და აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდას. წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე მიუთითებს, რომ აკადემიური რესურსების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა საპროგნოზო რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბი, კვლევითი საქმიანობა და აკადემიური პერსონალისთვის დაკისრებული სხვა მოვალეობები.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის ადეკვატურობის სრულყოფილი შეფასება საჭიროებს ინდივიდუალური დატვირთვის, სასწავლო, კვლევითი და სხვა მოვალეობების განაწილებისა და სტუდენტთა რაოდენობის ცვლილებების უწყვეტ მონიტორინგს. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ დატვირთვის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს პერსონალის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებებში ან ორგანიზაციებში საქმიანობა და აღნიშნულის შესაძლო გავლენა მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე, აკადემიის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი მიდგომები სათანადო საფუძველს ქმნის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობისა და დატვირთვის დასაგეგმად. თუმცა, მათი ადეკვატურობა და მდგრადობა უნდა შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული განხორციელების პროცესში, სტუდენტთა რაოდენობის ცვლილებებისა და აკადემიის კვლევითი საქმიანობის განვითარების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2032; ● 2026-2029 სამოქმედო გეგმა; ● ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაცია
რეკომენდაციები: ● არ არის მითითებული
რჩევები: ● არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ● არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის,

კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების აღიარების მარეგულირებელი წესები. დაწესებულების სტუდენტთა მიღებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი აღწერს სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებს, რომლებიც შეესაბამება უმაღლესი განათლების მოქმედ კანონმდებლობას საქართველოს. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები და პროცედურები განსაზღვრულია ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლით. პროცესი გამჭვირვალე და სამართლიანია. მობილობის პროცესი რეგულირდება შიდა და გარე მობილობის წესებით. ყველა აღნიშნული რეგულაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის დაწესებულების ვებგვერდზე: https://policeacademy.gov.ge/ka/about-the-academy/legal-acts სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს მოქმედ საგანმანათლებლო კანონმდებლობას. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისკენ მიმართული პროცედურების ეფექტურ და დროულ განხორციელებას. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დაწესებულება ატარებს საორიენტაციო შეხვედრას, რომლის ფარგლებშიც დეკანი, პროგრამის კოორდინატორი და სტუდენტებზე მიმაგრებული სერჟანტები სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას მათი უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რაც სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშია განსაზღვრული. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის, სასწავლო პროცესთან და აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენისა და განხილვის პროცედურები. შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია დოკუმენტით „სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი". სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემია იყენებს სწავლების მართვის ელექტრონულ სისტემას (lms-academy.mia.gov.ge), რომლის საშუალებითაც სტუდენტებს შეუძლიათ რეგისტრაცია, სასწავლო კურსების არჩევა, საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობა და ლექტორთან ან სასწავლო კურსთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის დაფიქსირება. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, აირჩიონ სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები და თავადაც იყვნენ არჩეული, რაც მათ სტუდენტთა ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის შესაძლებლობას აძლევს. თუმცაღა,

სტუდენტები არ არიან წარმოდგენილი დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ ორგანოებში, რაც ზღუდავს მათ მონაწილეობას ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● თვითშეფასების ანგარიში; ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის საბაკალავრო პროგრამა ● სტუდენტთა მიღებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები ● სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულება; ● სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი; ● სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (lms-academy.mia.gov.ge); ● დაწესებულების ვებ-გვერდი (www.policeacademy.gov.ge);

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სტუდენტები წარმოდგენილნი იყვნენ შესაბამის აკადემიურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში, რაც გააძლიერებს სტუდენტთა ჩართულობას დაწესებულების მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

რჩევები:

- არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლებიც ემსახურება სტუდენტთა სათანადო კონსულტაციითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. დეკანი, პროგრამის კოორდინატორი და სტუდენტებზე მიმაგრებული სერჟანტები პასუხისმგებლები არიან აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტების კონსულტირებასა და მხარდაჭერაზე, რაც მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, აკადემიური მოთხოვნებსა და დაწესებულებაში არსებულ რესურსებს. ამასთან, სტუდენტების სასწავლო კურსებთან დაკავშირებულ კონსულტაციებს გაუწევს აკადემიური პერსონალი, სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. კონსულტაციები მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კურსის მიზნების, სწავლის შედეგების, შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რაც

უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ზუსტი ინფორმაციისა და შესაბამისი მხარდაჭერის მიწოდებას სწავლის მთელი პროცესის განმავლობაში.

ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არ მიუღია სტუდენტები, აღნიშნული საკონსულტაციო და მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტურობის გადამოწმება სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე ვერ მოხერხდა. თუმცაღა, აკადემიური კონსულტირებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინსტიტუციური პასუხისმგებლობები და პროცედურები განსაზღვრულია, რათა სტუდენტებმა სწავლის დაწყებისთანავე მიიღონ საჭირო დახმარება.

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას შექმნილი აქვს კარიერული მხარდაჭერის სერვისები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროფესიული განვითარების, დასაქმებისა და წარმატებული კარიერული ზრდის ხელშეწყობას. აღნიშნული სერვისები მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს სტუდენტებს პროფესიული მიზნების განსაზღვრაში, კარიერული გეგმების შემუშავებაში, დასაქმებისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებასა და უსაფრთხოებისა და საპოლიციო საქმიანობის სფეროში ინტეგრაციაში.

დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს კარიერული განვითარების აქტივობების კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, რომელთა ფუნქციები მოიცავს ინდივიდუალური კარიერული კონსულტაციების გაწევას, პრაქტიკული სწავლების ორგანიზების ხელშეწყობას, სტუდენტებისთვის CV-ისა და სამოტივაციო წერილის მომზადებაში დახმარებას, გასაუბრებისთვის მოსამზადებელი აქტივობების განხორციელებასა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მონიტორინგს. აკადემია ასევე გეგმავს ითანამშრომლოს შესაბამის დამსაქმებლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით. ვინაიდან სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას ჯერ არ მიუღია სტუდენტები, კარიერული მხარდაჭერის აღნიშნული მექანიზმების ეფექტურობის გადამოწმება სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე ვერ მოხერხდა. თუმცა, შემუშავებულია კარიერული კონსულტირებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფის ინსტიტუციური ჩარჩო, განსაზღვრულია შესაბამისი ფუნქციები და დაგეგმილია სათანადო აქტივობები.

დაწესებულება გეგმავს სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერას სხვადასხვა საგანმანათლებლო, პროფესიულ, ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობაში. სტუდენტებს ინფორმირებულები იქნებიან პროფესიული ღონისძიებების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების, დამსაქმებლებთან შეხვედრების, პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებისა და სხვა შესაბამისი აქტივობების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. აკადემია ასევე გეგმავს, არსებული რესურსების ფარგლებში, მხარი დაუჭიროს სტუდენტურ ინიციატივებს და შესაბამისად წაახალისებს სტუდენტთა ჩართულობას, პროფესიული უნარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას და აკადემიურ საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობას.

სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას მემორანდუმების საფუძველზე შემუშავებული აქვს პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობის ჩარჩოები, რაც საფუძველს ქმნის სამომავლო საერთაშორისო თანამშრომლობისა და მობილობის შესაძლებლობებისათვის. აღნიშნული შეთანხმებები ითვალისწინებს აკადემიური და პროფესიული თანამშრომლობის, ერთობლივი ინიციატივებისა და გაცვლითი აქტივობების განვითარების შესაძლებლობებს. ხელმისაწვდომი საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ შესაბამისი ინსტიტუციური საკომუნიკაციო არხების

საშუალებით. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ განაგრძოს საერთაშორისო პარტნიორთა ქსელის გაფართოება და იმუშაოს თანამშრომლობის დამატებით შესაძლებლობებზე, რათა შემდგომში მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, პროფესიული განვითარების აქტივობებსა და საერთაშორისო პროექტებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● თვითშეფასების ანგარიში; ● მემორანდუმები. ● დაწესებულებასა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ● დაწესებულების ვებგვერდი (www.policeacademy.gov.ge); ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ● არ არის მითითებული
რჩევები: ● სასურველია, დაწესებულებამ განაგრძოს საერთაშორისო პარტნიორთა ქსელის გაფართოება და იმუშაოს თანამშრომლობის დამატებით შესაძლებლობებზე, რათა შემდგომში მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, პროფესიული განვითარების აქტივობებსა და საერთაშორისო პროექტებში.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ● არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.

- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების ანგარიშისა და შესაბამისი მარეგულირებელი აქტების საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულება კვლევით საქმიანობას განიხილავს ინსტიტუციური განვითარების, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების, ახალი ცოდნის შექმნისა და სამართალდამცავთა საქმიანობის პრაქტიკის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას შემუშავებული აქვს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, მხარდაჭერის, დაფინანსების, შედეგების გამოყენებისა და შეფასების ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუციური ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩო განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი დოკუმენტებით:

- კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიით;
- კვლევითი საქმიანობის დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით;
- კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმებით;
- კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემით.

ერთიანობაში, წარმოდგენილი დოკუმენტები ქმნის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების თანმიმდევრულ საფუძველს. ისინი მოიცავს კვლევის კულტურის ჩამოყალიბებას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვას, კვლევითი კომპეტენციების განვითარებას, ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის მექანიზმებს, საერთაშორისო თანამშრომლობას, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესსა და პროფესიულ პრაქტიკაში ინტეგრირებას და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებას.

განსაკუთრებით დადებითად ფასდება კვლევის პოლიტიკის პრაქტიკაზე ორიენტირებული ხასიათი. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მიზნად ისახავს არამხოლოდ აკადემიური შედეგების შექმნას, არამედ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საპოლიციო საქმიანობის სფეროებში არსებული რეალური გამოწვევების შესწავლას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებასა და მიღებული შედეგების შესაბამის პროფესიულ პრაქტიკაში გამოყენებას.

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემია, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, კვლევითი საქმიანობის განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. შესაბამისად, წარმოდგენილი პოლიტიკისა და მექანიზმების ეფექტურობის სრულად შეფასება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მათი თანმიმდევრული პრაქტიკული განხორციელებისა და დასრულებული კვლევითი პროექტების, პუბლიკაციების, სტუდენტების ჩართულობის, მოძიებული გრანტებისა და კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესახებ მტკიცებულებების დაგროვების შემდეგ. აღნიშნული არ ამცირებს შემუშავებული ჩარჩოების მნიშვნელობას, თუმცაღა, ეს განსაკუთრებულ

მნიშვნელობას სძენს ოპერატიულ დაგეგმვას, განხორციელებასა და კვლეთი აქტივობებისა და მათი შედეგების დოკუმენტირებას.

სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიამ წარმოადგინა კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს კვლევითი საქმიანობის სტრატეგიულ ხედვას, მისიას, პრიორიტეტებს, მიზნებსა და განხორციელების მექანიზმებს.

სტრატეგიის მიზანია სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სისტემური განვითარების ხელშეწყობა, კვლევის კულტურის ჩამოყალიბება და ისეთი ცოდნის შექმნა, რომელიც შეიძლება გამოყენებული ოყპს სამართალდამცავი სისტემისა და პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის. კვლევითი საქმიანობა ეფუძნება აკადემიური კეთილსინდისიერების, პრაქტიკაზე ორიენტირებულობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს.

სტრატეგია დაწესებულების მისიად განსაზღვრავს მაღალი ხარისხის, პრაქტიკაზე ორიენტირებული და ინოვაციური კვლევების განხორციელებას, რომლებიც სამართალდამცავი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებას ემსახურება. დაწესებულების ხედვაა, ჩამოყალიბდეს საპოლიციო საქმიანობის სფეროში წამყვან კვლევით ცენტრად, რომელიც უსაფრთხოებისა და საპოლიციო საქმიანობის მიმართულებით შექმნის სანდო, პრაქტიკაში გამოყენებად და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ცოდნას.

კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია განსაზღვრავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

- კვლევის კულტურის განვითარება;
- პერსონალის კვლევითი კომპეტენციების გაძლიერება;
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა;
- კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური განვითარება;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;
- კვლევის შედეგების პრაქტიკაში ინტეგრირება;

დადებითად ფასდება, რომ კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის საქმიანობის განუყოფელ კომპონენტად და დაკავშირებულია როგორც საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებებთან, ისე სამართალდამცავი სისტემის განვითარებასთან. „კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია" სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის კვლევითი საქმიანობის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრავს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფების მომზადების საჭიროებებს;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;
- დანაშაულის გამოძიების მეთოდებს;
- ორგანიზებულ დანაშაულს;
- საგზაო უსაფრთხოებას;
- საზღვრის დაცვასა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლას;
- პოლიციის მიერ ფიზიკური ძალის, ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებას;

- პოლიციასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებს.

აღნიშნული თემატური მიმართულებები შეესაბამება სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის მისიასა და პროფილს, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროებებს. მათი განსაზღვრა ქმნის კვლევითი საქმიანობის შინაარსობრივი ფოკუსირების, ინსტიტუციური რესურსების მიზნობრივი გამოყენებისა და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე შედეგების მიღწევის წინაპირობებს.

ამასთან, მიზანშეწონილია, სტრატეგიით განსაზღვრული ფართო კვლევითი პრიორიტეტები ყოველწლიურად დაკონკრეტდეს კონკრეტულ კვლევით თემებად, პროექტებად და მოსალოდნელ შედეგებად. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იქნება აკადემიური პერსონალის უშუალო ჩართულობა, ვინაიდან მათი სამეცნიერო ინტერესები, პროფესიული გამოცდილება და დარგობრივი კომპეტენციები ყოველწლიური კვლევითი დღის წესრიგის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ძირითად წყაროს უნდა წარმოადგენდეს.

ყოველწლიური კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში ასევე უნდა ჩაერთონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, სტუდენტები, პრაქტიკოსები და საერთაშორისო პარტნიორები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კვლევითი დღის წესრიგი პასუხობდეს როგორც პროფესიულ პრაქტიკაში გამოვლენილ პრობლემებს, ისე მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს.

„სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის კვლევითი საქმიანობის სტრატეგია" ითვალისწინებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი კომპეტენციების განვითარებას კვლევის მეთოდოლოგიის, მონაცემთა ანალიზისა და აკადემიური წერის მიმართულებით. სტრატეგია ასევე ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის კოორდინირებას, მკვლევართა წახალისებას, პუბლიკაციების მხარდაჭერას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროფესიულ პრაქტიკაში გამოყენებას.

დადებითად ფასდება აკადემიის მიდგომა - კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს პროგრამის შინაარსის განახლებას, სტუდენტებისთვის თანამედროვე და პრაქტიკულად რელევანტური ცოდნის მიწოდებასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განვითარებას.

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული მიზნები ყოველწლიურად აისახოს კონკრეტულ კვლევით სამოქმედო გეგმაში, რომელშიც განისაზღვრება:

- პრიორიტეტული თემები;
- დაგეგმილი კვლევითი პროექტები
- პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები;
- კვლევითი ჯგუფების შემადგენლობა;
- ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები;
- განხორციელების ვადები;
- მოსალოდნელი სამეცნიერო და პრაქტიკული შედეგები;
- შედეგების სასწავლო პროცესსა და პროფესიულ პრაქტიკაში გამოყენების ფორმები;

- რაოდენობრივი, თვისებრივი და გავლენის ინდიკატორები.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო დრო სწორად იყოს განსაზღვრული. კვლევითი მოთხოვნების ეფექტურად განხორციელება შეუძლებელია, თუ პერსონალს არ ექნება სათანადო დრო კვლევის დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, პუბლიკაციის მომზადებისა და კვლევის შედეგების გავრცელებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების აღმწერი დოკუმენტები;
- ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებაზე პასუხისმგებელ პირებთან, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის საფუძველზე, შემუშავდეს დეტალური ყოველწლიური კვლევითი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განისაზღვრება სტრატეგიაში გამოყოფილ პრიორიტეტულ მიმართულებებთან შესაბამისი კონკრეტული კვლევითი თემები და პროექტები, პასუხისმგებელი პირები, კვლევითი ჯგუფები, ბიუჯეტი, განხორციელების ვადები, გაზომვადი შედეგები და გავლენის ინდიკატორები.
- სასურველია, ყოველწლიური კვლევითი პრიორიტეტებისა და კვლევითი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა და ასევე, აღნიშნულის დოკუმენტირება, პერსონალის დარგობრივი კომპეტენციების, კვლევითი ინტერესებისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით.
- სასურველია, სტუდენტებისთვის შემუშავდეს კვლევითი უნარების სტრუქტურირებული მოდული, რომელიც მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას, ეთიკას, მონაცემთა ანალიზს, აკადემიურ წერასა და კვლევის შედეგების წარდგენას.
- სასურველია, კვლევითი პროექტების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს ინტერდისციპლინური მიდგომა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხების

სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური და მენეჯერული მიმართულებები.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ● არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას შემუშავებული აქვს „სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები", რომელიც განსაზღვრავს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ინსტიტუციურ, აკადემიურ, ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ მექანიზმებს. დოკუმენტის მიზანია სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიაში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის შექმნას, განვითარებასა და გავრცელებას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი უნარების გაძლიერებასა და კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენებას. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა ეფუძნება თანაბარი ხელმისაწვდომობის, პრაქტიკაზე ორიენტირებულობის, ხარისხის, ინოვაციურობის, ასევე, კვლევისა და სწავლების ინტეგრირების პრინციპებს. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვას, კოორდინირებასა და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს განვითარების, კვლევის, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვას, მონაწილეთა მხარდაჭერას, საჭირო უნარების განვითარებას, მენტორობასა და ექსპერტული კონსულტაციების შეთავაზებას. დადებითად ფასდება, რომ წარმოდგენილი მექანიზმები ითვალისწინებს პერსონალისა და სტუდენტების მხარდაჭერას კვლევის მეთოდოლოგიის, სტატისტიკური ანალიზისა და აკადემიური წერის მიმართულებით. ასევე გათვალისწინებულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პერსონალის დატვირთვის შესაძლო ოპტიმიზაცია.

ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის მიმართულებით დოკუმენტი ითვალისწინებს:

- კვლევითი პროექტების დაფინანსებას არსებული შიდა რესურსების ფარგლებში;
- გარე საგრანტო დაფინანსების მოზიდვის ხელშეწყობას;
- სამეცნიერო ნაშრომების რედაქტირების, თარგმნისა და გამოქვეყნების მხარდაჭერას;
- სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, საბიბლიოთეკო რესურსებსა და ტექნიკურ საშუალებებზე წვდომას;
- ინოვაციური პროექტებისა და სიმულაციური მოდელების შემუშავების მხარდაჭერას;
- კვლევითი კონკურსებისა და ფორუმების ორგანიზებას;
- პრაქტიკული ღირებულების მქონე პროდუქტების, მათ შორის, სახელმძღვანელოების, სასწავლო მოდულებისა და ანალიტიკური ანგარიშების შემუშავების მხარდაჭერას.

დადებითად ფასდება კვლევითი საქმიანობის ფინანსური და არაფინანსური წახალისების მექანიზმების არსებობა. დოკუმენტის თანახმად, წარმატებული კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობა შესაძლოა წახალისდეს პრემიებით, გრანტებით, სერტიფიკატებით ან ინსტიტუციური აღიარებით. კვლევითი საქმიანობა ასევე დაკავშირებულია პერსონალის შეფასებასა და კარიერულ განვითარებასთან.

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიამ წარმოადგინა კვლევითი საქმიანობის დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები, რომელიც განსაზღვრავს კვლევითი პროექტების დაფინანსების წესებს.

დაფინანსების პროცესი ეფუძნება საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. კვლევითი პროექტების დაფინანსება ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო საკონკურსო განაცხადი უნდა მოიცავდეს პროექტის მიზანს, განხორციელების პერიოდს, თემატურ მიმართულებებს, განაცხადის ფორმასა და წარდგენის პროცედურას.

დადებითად ფასდება, რომ კვლევით პროექტში მონაწილეობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფის შემადგენლობაში, ამასთან, წახალისებულია სტუდენტთა მონაწილეობა. განაცხადებს აფასებს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება შედიოდნენ როგორც სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის წარმომადგენლები, ისე შესაბამისი სფეროს მოწვეული პრაქტიკოსები.

კვლევითი განაცხადების შეფასების კრიტერიუმებია:

- კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა;
- კვლევის განხორციელებადობა;
- შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა;
- სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის საჭიროებებთან შესაბამისობა.

დოკუმენტი ასევე არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის მართვის, გადაწყვეტილების მიღების, შედეგების გამოქვეყნების, უკუკავშირის მიწოდების, დაფინანსების განაწილების, ანგარიშგებისა და დაფინანსების პროცესის ეფექტურობის მონიტორინგის საკითხებს. კვლევითი პროექტის ანგარიშის ფორმა მოიცავს კვლევის პრობლემის, მიზნის, მეთოდოლოგიის, ძირითადი მიგნებების, პრაქტიკული რეკომენდაციებისა და შედეგების სამომავლო გამოყენების აღწერას. აღნიშნული ასახავს კვლევის დაფინანსების შედეგებსა და პრაქტიკულ გამოყენებაზე ორიენტირებულ მიდგომას. დააწესებულების კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად განსაზღვრავს. სტრატეგია ითვალისწინებს უცხოურ საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობას, ერთობლივი პროექტების განხორციელებასა და გამოცდილების გაზიარებას. სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის საერთაშორისო პარტნიორობის არსებული ქსელი კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის. საერთაშორისო თანამშრომლობოს გამოყენება შესაძლებელია შემდეგი მიმართულებებით: ● ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება; ● საერთაშორისო გრანტების მოზიდვა; ● უცხოელი მკვლევრებისა და ექსპერტების ჩართვა; ● პუბლიკაციების მომზადება საერთაშორისო თანაავტორობით ; ● მკვლევრებისა და სტუდენტებისათვის გაცვლითი აქტივობების განხორციელება; ● კვლევის შედეგების საერთაშორისო კონფერენციებისა და პროფესიული ქსელების საშუალებით გავრცელება. წარმოდგენილი მექანიზმები ქმნის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის საფუძველს. თუმცაღა, შემდგომ ეტაპზე მნიშვნელოვანი იქნება ამ მიმართულებით შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის უზრუნველყოფა და კონკრეტული შედეგების დოკუმენტირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში; ● კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმებით; ● კვლევითი საქმიანობის დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით; ● კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიით; ● კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა; ● განვითარების, კვლევის, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების აღმწერი დოკუმენტები;

- კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისთვის გამოყოფილი ფინანსური, მატერიალური, საბიბლიოთეკო, ელექტრონული და ტექნიკური რესურსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, განვითარების, კვლევის, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, შემუშავდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ცალკე სამოქმედო გეგმა, რომელშიც განისაზღვრება პრიორიტეტული საერთაშორისო პარტნიორები, ერთობლივი კვლევითი პროექტები, საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა, საერთაშორისო თანაავტორობით შექმნილი პუბლიკაციები, პასუხისმგებელი პირები, განხორციელების ვადები და შედეგების ინდიკატორები.
- სასურველია, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის შეიქმნას კვლევით შესაძლებლობებთან დაკავშირებული რეგულარული საინფორმაციო ბიულეტენი ან ელექტრონული საკომუნიკაციო არხი, რომელიც გააერთიანებს ინფორმაციას შიდა და გარე გრანტების, კონფერენციების, პუბლიკაციების შესაძლებლობების, ტრენინგებისა და საერთაშორისო პროექტების შესახებ.
- სასურველია, კარიერის საწყის ეტაპზე მყოფი აკადემიური პერსონალისა და ნაკლები კვლევითი გამოცდილების მქონე პირებისთვის შემუშავდეს მცირე გრანტების, მენტორობისა და კვლევითი უნარების განვითარების პროგრამები.
- სასურველია, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით შეიქმნას თემატური კვლევითი ჯგუფები, რომლებიც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საპოლიციო საქმიანობის აქტუალურ საკითხებზე იმუშავებენ.
- სასურველია, შემუშავდეს შიდა კვლევითი კონკურსების ფარგლებში გამოვლენილი საუკეთესო კვლევითი შედეგების გავრცელებისა და პრაქტიკაში გამოყენების გეგმა.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას შემუშავებული აქვს „კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა", რომლის მიზანია კვლევითი საქმიანობისა და მისი შედეგების ხარისხის, ასევე პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების უზრუნველყოფა.

შეფასების სისტემა ეფუძნება საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობის, პრაქტიკაზე ორიენტირებულობის, უკუკავშირისა და უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპებს. შეფასებას ექვემდებარება როგორც კვლევითი პროექტები, ისე პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, მათ შორის, პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, პროექტები და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

კვლევითი პროექტების შეფასების კრიტერიუმებია:

- პრაქტიკული მნიშვნელობა;
- გამოყენებადობა
- ხარისხი და სიზუსტე;
- ინოვაციურობა
- განხორციელების ეფექტურობა.

პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება მოიცავს:

- პუბლიკაციებსა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას;
- წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოქვეყნებას;
- ინოვაციურ და შემოქმედებით საქმიანობას;
- კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენებას;
- პროფესიულ განვითარებას.

აკადემიური პერსონალის საქმიანობა სასწავლო წლის ბოლოს 100-ქულიანი სისტემით ფასდება. შემდეგი განაწილების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი	**მაქსიმალური ქულა**
პუბლიკაციები/კონფერენციები	25

პუბლიკაციები, წიგნები/სახელმძღვანელოები	25
ინოვაციური აქტივობები	15
პრაქტიკული გამოყენება	20
პროფესიული განვითარება	15
სულ	**100**

შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალის საქმიანობა კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- 90-100 ქულა - მაღალი ხარისხი/მაღალი პროდუქტიულობა;
- 70-89 ქულა - დამაკმაყოფილებელი შედეგი/საშუალო პროდუქტიულობა;
- 50-69 ქულა - საჭიროებს გაუმჯობესებას;
- 50 ქულაზე ნაკლები - დაბალი პროდუქტიულობა.

დადებითად ფასდება, რომ თითოეული შეფასებული თანამშრომელი იღებს წერილობით უკუკავშირს, რომელშიც ასახულია მისი ძლიერი მხარეები, გასაუმჯობესებელი მიმართულებები და მომდევნო სასწავლო წლისთვის განსაზღვრული რეკომენდაციები. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს შეფასების შედეგების ანალიზს, სისტემური ნაკლოვანებების გამოვლენასა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვას.

წარმოდგენილი სისტემა მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის კვლევითი საქმიანობისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისთვის. ამასთან, კვლევითი საქმიანობის განვითარების შემდგომ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება შეფასების კრიტერიუმების დამატებით დივერსიფიცირება და მათი ადაპტირება სხვადასხვა ტიპის კვლევით შედეგებთან.

მაგალითად, მხოლოდ პუბლიკაციების რაოდენობა ვერ იქნება სამეცნიერო პროდუქტიულობისა და ხარისხის სრულყოფილი ინდიკატორი. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს პუბლიკაციების ხარისხი, ჟურნალების რეცენზირებადობა ან ინდექსირება, საერთაშორისო თანაავტორობა, ციტირების მაჩვენებლები, კვლევითი გრანტები, კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენება, მათი გავლენა პოლიტიკის ან პროცედურების ცვლილებაზე და საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირება.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სრული ციკლი უნდა მოიცავდეს მონაცემთა შეგროვებას, ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ ანალიზს, უკუკავშირს, გაუმჯობესების გეგმის შემუშავებას, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, განხორციელების ვადებსა და შემდგომ შეფასებას. ასევე მნიშვნელოვანია შეფასების შედეგების დაკავშირება პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან, მენტორობასთან,

კვლევით მხარდაჭერასთან, წახალისების მექანიზმებსა და კვლევითი რესურსების განაწილებასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში; ● კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა; ● სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების დამტკიცებული კრიტერიუმები და ინდიკატორები; ● აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების 100-ქულიანი სისტემა და შეფასების შესაბამისი ფორმები; ● კვლევითი პროექტების შეფასების კრიტერიუმები, მათ შორის, პრაქტიკული მნიშვნელობა, გამოყენებადობა, ხარისხი, სიზუსტე, ინოვაციურობა და განხორციელების ეფექტურობა; ● პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების კრიტერიუმები, მათ შორის, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ინოვაციური საქმიანობა, კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენება და პროფესიული განვითარება; ● ავტორიზაციის ვიზიტის დროს დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულსა და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები: ● სასურველია, კვლევითი საქმიანობისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების კრიტერიუმები დივერსიფიცირდეს თვისებრივი, რაოდენობრივი, საერთაშორისო და პრაქტიკული გავლენის ინდიკატორების დამატებით. ● სასურველია, კვლევითი საქმიანობის შეფასების სრული ყოველწლიური ციკლის განხორციელება და დოკუმენტირება, რომელშიც მოცული იქნება მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, ინდივიდუალური და ინსტიტუციური უკუკავშირი, გაუმჯობესების გეგმის შემუშავება, პასუხისმგებელი პირებისა და განხორციელების ვადების განსაზღვრა, ასევე, ეფექტურობის შემდგომი შეფასება. ● სასურველია, შეიქმნას კვლევითი საქმიანობის ელექტრონული მონაცემთა ბაზა და/ან ინდივიდუალური კვლევითი პროფილები, რომლებშიც აღირიცხება პუბლიკაციები, პროექტები, კონფერენციებში მონაწილეობა, გრანტები და კვლევის პრაქტიკული გავლენა.

- სასურველია, საერთაშორისო თანაავტორობა, რეცენზირებად და ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა და კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვა განისაზღვროს შეფასების ცალკეულ ინდიკატორებად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის საფუძველზე იკვეთება, რომ აკადემიას განსაზღვრული აქვს მატერიალური რესურსების განვითარებისა და მართვის მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება მის სტრატეგიულ მიზნებსა და დაგეგმილ საგანმანათლებლო საქმიანობას. არსებული ინფრასტრუქტურა და დაგეგმილი განვითარების ღონისძიებები მიზნად ისახავს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის სათანადო საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და პრაქტიკული სწავლების გარემოს უზრუნველყოფას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის განვითარებას, სასწავლო სივრცეების მოდერნიზებას, სწავლების სპეციალიზებული სივრცეების განახლებას, ტექნიკური აღჭურვილობის განახლებასა და სტუდენტთა საცხოვრებლის შექმნას. დაგეგმილი აქტივობებისთვის განსაზღვრულია განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი ფინანსური რესურსები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე აღწერს აკადემიის მიდგომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სანიტარიული პირობებისა და ადაპტირებული გარემოს შეთავაზების მიმართულებით. აღნიშნული მექანიზმების ეფექტურობა შეფასდება აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, არსებული მატერიალური რესურსები და დაგეგმილი განვითარების ღონისძიებები ქმნის სათანადო საფუძველს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის, ხოლო მათი შემდგომი განვითარება შეესაბამება აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თვითშეფასების ანგარიში; ● სტრატეგიული განვითარების გეგმა; ● სამოქმედო გეგმა ● ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია
რეკომენდაციები: ● არ არის მითითებული
რჩევები: ● არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ● არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის საფუძველზე იკვეთება, რომ აკადემიას განსაზღვრული აქვს საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების მიმართულებები, რომელიც შეესაბამება მის საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებენ საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებას, ასევე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის მათ ხელმისაწვდომობას.

დოკუმენტაციაში აღწერილია საბიბლიოთეკო ფონდის განვითარების, ელექტრონულ რესურსებზე წვდომისა, ასევე სასწავლო და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ღონისძიებები. გარდა ამისა, ინსტიტუციური საჭიროებების შესაბამისად, გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურისა და სერვისების ეტაპობრივი განვითარება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაგეგმილი მიდგომა სათანადო საფუძველს ქმნის საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტური გამოყენებისა და შემდგომი განვითარებისთვის, ხოლო მათი ქმედითუნარიანობა შეფასდება აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები:

- არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ აკადემიას დაგეგმილი აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება, ელექტრონული სერვისებისა და მართვის სისტემების დანერგვა და მათი უწყვეტი გაუმჯობესება. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავს საინფორმაციო სისტემების განვითარების, ციფრული სერვისების გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროცესების მხარდასაჭერად საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

დოკუმენტაცია ასევე მოიცავს ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის, საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირებისა და დაწესებულების ვებგვერდის შემდგომი განვითარების საკითხებს. აღნიშნული მექანიზმების ეფექტურობა შეფასდება აკადემიის საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაგეგმილი ღონისძიებები სათანადო საფუძველს ქმნის აკადემიის საინფორმაციო რესურსების განვითარებისათვის და შეესაბამება მის დაგეგმილ საქმიანობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები:

- არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის საფუძველზე იკვეთება, რომ აკადემიას შემუშავებული აქვს ფინანსური დაგეგმვისა და მართვის მექანიზმები, რომლებიც შეესაბამება მის სტრატეგიულ მიზნებსა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს. ბიუჯეტი ითვალისწინებს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, საბიბლიოთეკო რესურსებისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსებას.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების ფინანსურ უზრუნველყოფას, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და განხორციელების ვადებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე ადასტურებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის არსებობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ფინანსური დაგეგმვისა და მართვის მექანიზმები სათანადო საფუძველს ქმნის აკადემიის მიერ დაგეგმილი საქმიანობის

განხორციელებისთვის, ხოლო მათი მდგრადობა შეფასდება დაწესებულების საქმიანობის პრაქტიკული განხორციელების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● თვითშეფასების ანგარიში; ● სტრატეგიული განვითარების გეგმა; ● სამოქმედო გეგმა ● ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია
რეკომენდაციები: ● არ არის მითითებული
რჩევები: ● არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ● არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან